ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5211138

ნომერი: AR1789526

თარიღი : 20.11.2020

გაცემის თარიღი : 03.12.2020

გაცნობის თარიღი : 06.12.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მთავარანგელოზის , N 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ტვილდიანი პ/ნ 01024012639
- თბილისი საირმის ქ. N 2 ბ. 25

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმრო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1.საპროექტო ესკიზის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს (ოქმი N3; 23.01.2020 წ.) რეკომენდაცია - (შემცირდეს მოცულობა. მოცულობა იყოს მეზობელ აგურის სახლზე ერთი დონით მაღალი, დაცული იქნას საფეხურებრიობის პრინციპი). გაცნობებთ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემულია მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის საკითხზე მსჯელობისას.
2. სამსახურში შემოსულია საპროექტო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული ნაკვეთის მესაკუთრის განცხადება. გთხოვთ გაეცნოთ სამსახურის გადაწყვეტილებაზე თანდართულ, მომიჯნავე ნაკვეთის მესაკუთრის, განცხადებას და გააკეთოთ განმარტება მასში დასმულ საკითხებზე. (თქვენს მიერ წარმოდგენილი სქემატური პროექტის მიხედვით, შენობის განთავსება ხდება ნაკვეთის იმ ნაწილში, რომელზეც საუბარია თანდართულ განცხადებაზე)
3. წარმოსადგენია საინფორმაციო დაფის რეალური ფოტომასალა ახლო და შორი ხედებიდან. (დოკუმენტაციაში ვხვდებით ფოტომონტაჟს)
4.წარმოდგენილი იქნას შენობის ნაკვეთზე განთავსების სქემა, მასზე დატანილი იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები და მითითებული იქნას შენობიდან დაშორება. დაზუსტდეს რომელი ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვა ხორციელდება.
5.წარმოდგენილი იქნას ნაკვეთზე არსებული ხე-მცენარეების ხარისხობრივი შეფასების დასკვნა, ასევე ინფორმაცია სამომავლო გამწვანების პროექტის აღწერით.
6.წარმოდგენილ იქნას საპროექტო და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის ფასადების ესკიზური განშლა (მომიჯნავე შენობების ფასადები შესაძლებელია დატანილ იქნას მხოლოდ კონტურების სახით) , რომელზეც დატანილი იქნება აბსოლიტური ნიშნულები როგორც ყველაზე დაბალ, ასევე ყველაზე მაღალ წერტილებში.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge